



შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№19 (9.535)

1 ივნისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ყანებისთვის მიყენებულ ზარალს კომისია უმისჯავლის



დედოფლისწყაროში, შირაკის ველებზე ქარის მიერ

დაზიანებული მიწის ნაკვეთების მეპატრონეებისთვის მი-

ყენებული ზარალის ოდენობას „სტიქიური მოვლენებით გა-

მონვეული ზარალის დამდგენი კომისია“ შეისწავლის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ კომისია 30 მაისს დაამტკიცა, მის თავმჯდომარედ კი სოფლის მეურნეობის დარგში გამგებლის მოადგილე რევაზ ქოქიაშვილი დანიშნა.

როგორც დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი აცხადებს, კომისიის მუშაობაში უშუალოდ ჩართვებიან ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებიც. შესაბამისი ოქმების შედგენის შემდეგ კი კომისია დაზარალებულთა დახმარების განხორციელების თაობაზეც იმსჯელებს.

„შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროს გამგეობის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში 70-მდე დაზარალებულის განცხადებაა შესული.

მარტის თვეში ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროში საშემოდგომო ნათესები დააზიანა. სტიქია 22 მარტს კიდევ ერთხელ განმეორდა. ამოვარდნილმა ქარბუქმა ხორბლის ყანების ნაწილი გაანადგურა.

„დედოფლისწყაროში რამდენჯერმე ძლიერი ქარის გამო ზოგიერთ ნაკვეთებში ყანები დაიქარა. ფესვებს მიწა აქვს გამოცლილი, თან გვალვა დაერთო. დიდი რაოდენობით მოსავალი დაიკარგება. ყანა სხვადასხვა ადგილებზე, 130 ჰექტარზე მაქვს. ზოგ ნაკვეთში 50%-ით არის ყანები დაქარული, იქ წვიმის შემთხვევაშიც არ მოვა უდანაკარგო მოსავალი“, - განაცხადა დედოფლისწყაროს გამგეობის მერმა ბაჩუკი გონაშვილმა.

სპეციალური კომისია დედოფლისწყაროში მუშაობას უკვე შეუდგა.

ილია მარტყოფიშვილი

მთელი მსოფლიოს მასშტაბით 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ბავშვთა დაცვის დღე 1949 წლის ნოემბერში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დააწესა. იგი 1950 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი მიზანია, მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მოპოვება ახალი ომის საშიშროებისგან ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აზრდა-ბან-ვითარებისთვის.

ამ თარიღს საქართველოშიც აღნიშნავენ. ქვეყნის მთავრობაც ზრუნავს ბავშვებზე, მაგრამ ამის მიუხედავად საქართველოში კვლავ არიან დაუცველი და მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთაც ლუკმა-პურის

საშოვნელად თვითონ უწევთ ზრუნვა, რათა საკუთარ თავთან ერთად ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანი და-ძმები გადაარჩინონ. ასეთი ბავშვები ხშირად ხდებიან დანაშაულის თანამონაწილნიც, რადგან ქუჩაში მოხვედრილ დაუცველ არასრულწლოვანს უამრავი ცდუნების დაძლევა უწევს. ეს კი ყველას როდი

ციამ განაპირობა. თუმცა, სამართალი მორალურ კრიტერიუმზე ძლიერი აღმოჩნდა და ბავშვს პატიმრობა მაინც შეეფარდა. ციხიდან გამოსული მოზარდის მომავალი კი ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი და გაურკვეველია. საქართველოს ახალი კანონმდებლობის შესაბამისად პრობაციის ეროვნული ბიურო მუდმივად ზრუნავს ყოფილი პატიმრების

ტარული წესით მიღებულ ნარკოტიკს უსინჯავენ გემოს და ხშირად ნებოსაც „სუნთქავენ“.

დღეს კვლავ არსებობენ ბავშვები, რომელთათვისაც უცხოა არა მხოლოდ ძვირადღირებული სათამაშოები და გასართობი ცენტრები, არამედ საბავშვო ბაღის აღსაზრდელად ყოფნაც.

მეტროებსა თუ მიწისქვე-

ლიც შეიღოს ძალით აგზავნის სამათხოვროდ და ეს ბიზნესის წყაროდ უქცევია.

ბავშვთა მსოფლიო დღის მიუხედავად მათ ამ დღეს არავინ მიულოცავს.

საქართველოში არიან ბავშვები, რომელთაც დედის სიყვარული და სითბო აუხდენელ ოცნებად გადაქცევიათ და ბავშვთა სახლის ფანჯრებიდან მომლოდინე თვალებით მაინც ელიან სასწაულს... ჩვენს სინამდვილეში მაინც რჩებიან პატარები, ომის შედეგად სახლთან ერთად მშობლებიც რომ დაკარგეს და ბავშვობაც...

ეს ჩვენი დღევანდელი რეალობაა, საკმაოდ მძიმე და მწარე. მის დაძლევის მთავრობის მიერ სპეციალური პროგრამის შემუშავებასთან ერთად საზოგადოების თანადგომაც სჭირდება, იმ საზოგადოების, რომლის წევრებიც ეს პატარები არიან.

ინგა შილაშვილი

ბავშვობადაკარგულნი

შეუძლია. ალბათ ყველას ახსოვს გახმაურებული ისტორია, როდესაც კარაქის ქურდობისთვის არასრულწლოვანი ციხეში აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, მაშინ მას სახლში ავადმყოფი ძმა და დედა მშვიერები ელოდნენ. მისი დამნაშავედ ქცევაც სწორედ გამოუვალმა სიტუა-

მომავალზე და მათ დასაქმებაზე, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული ე. წ. საზოგადოებრივი აზრი მაინც ეჭვის თვლით უყურებს „ნაციხარ“ ადამიანებს.

ქუჩაში მოხვედრილი ბავშვების კიდევ ერთი „მახე“ ნარკოტიკია. მშობლების ყურადღებას მოკლებულნი კუს-

მა გადასასვლელებში, ტაძრისა თუ ბაზრის კუთხეში გვხვდებიან მათხოვარი ბავშვები, რომელთაც მოწყალეების თხოვნა უკვე პროფესიად გაუხდიათ. ძალიან ძნელია მათხოვარი ბავშვის სამონყალოდ გამოწვდილი ხელის ყურება, მაგრამ გაცილებით ძნელია იმ მშობლის გაგება, რომე-

ზემო მარხაანი ბუბინ და დღეს

83.5

დედოფლისწყაროს ბიუჯეტი გაორმაგდა

83.3

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვებთან ვერ ნაიპოვებთ!

www.dedoplistskaro.ge

გერმანია საქართველოს 57 მილიონ ევროს გამოყოფის

გერმანია საქართველოს 57 მილიონ ევროს გამოყოფის აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ვიზიტით მყოფი გერმანიის ეკონომიკის მინისტრი დიკ ნიხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ნიკა გილაურმა განაცხადა, სხენებული თანხის ნაწილი გრანტის, ხოლო ნაწილი შეღავათიანი სესხის სახით გამოიყოფა. აქედან 7 მილიონი ევრო ბათუმის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის დასრულებას, 5 მილიონი ევრო დაცული ტერიტორიების განვითარებას, 25 მილიონი ევრო განახლებადი ენერჯის მიმართულებით, ჰესების მშენებლობას, ხოლო 20 მილიონი ევრო მყარი ნარჩენების მართვას მოხმარდება.

ნიკა გილაურის განცხადებით, გერმანიის საქართველოსათვის 1993 წლიდან დღემდე 400 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსებას ხმარდება. 57 მილიონი ევროს გამოყოფასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს შორის ხელი დღეს მოეწერება. ნიკა გილაურმა მადლობა გადაუხადა დიკ ნიხელს იმ დახმარებისათვის, რომელსაც ეს ქვეყანა საქართველოს მიმართ იწენს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებს.

როგორც თავის მხრივ დიკ ნიხელმა აღნიშნა, გერმანიისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც განახლებადი ენერჯისა და ენერჯეტიკული სფერო რჩება.

მისი თქმით, გერმანიისა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობს და საქართველოს მთავრობასთან დღეს მიღწეული შეთანხმება 57 მილიონი ევროს გამოყოფაზე სწორედ ამ თანამშრომლობის ლოგიკური გაგრძელებაა.

დიკ ნიხელი 2 ივნისს ბათუმში ჩასვლას აპირებს, სადაც წყალმომარაგების პროექტის განხორციელებას ადგილზე გაეცნობა.

მისი შეფასებით, საქართველომ მთელ რიგ სფეროებში ბევრს მიაღწია, რადგან ის რეფორმებზე არის ორიენტირებული.

ცნობისათვის: გერმანიის ეკონომიკის მინისტრი საქართველოში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიწვევით იმყოფება. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრამდე მან თბილისში, სასტუმრო „რედისონში“ ევროპული ფონდის ყოველწლიური შეხვედრის გახსნაში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავი აღნიშნეს

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით, თურქეთის ენვია საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის პირველი მოადგილის, ნიკოლოზ ვაშაკიძის ხელმძღვანელობით.

ოფიციალური ცნობით, ვიზიტის ფარგლებში, ნიკოლოზ ვაშაკიძემ გამართა შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან მეჰმეთ ფათიმი ვალიანთან. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ფართო სპექტრი. ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობას, საინვესტიციო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს. ასევე, განხილულ იქნა რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის აქტუალური საკითხები, მათ შორის, ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე მიღწეული შედეგები.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი იყო და ყოველთვის იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდამჭერი და ევრო-ატლანტიკური მისწრაფების გამზიარებელი.

ვიზიტის ფარგლებში ბატონ ნიკოლოზ ვაშაკიძეს საგარეო გამოვლას ჰქონდა თურქეთის ერთ-ერთი გავლენიანი საერთაშორისო კვლევითი ცენტრში „USAK“. შეხვედრას თურქეთის ანალიტიკური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ნიკოლოზ ვაშაკიძემ ისაუბრა, როგორც თურქეთ-საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე, ასევე, მიმოიხილა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები, ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

სამუშაო დღის ბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გამართა საზეიმო მიღება, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე და თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტარიელ ლეხანიძე.

მიღებას ესწრებოდნენ თურქეთის რესპუბლიკის აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები, მთავრობის, საქმიანი და აკადემიური წრეების წარმომადგენლები

დედოფლისწურობი საგზაო ბარიერები დამონტაჟდება

საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ბალაშვილის განმარტებით, დედოფლისწურობი გზების დახაზვის თანამედროვე სტანდარტები დაინერგება და ამაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. მისი თქმით, უახლოეს მომავალში სასწავლო დაწესებულებებთან და ცენტრალური გზის საშემო მონაკვეთებში ბარიერების დამონტაჟება იგეგმება, რათა გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობა შეიზღუდოს და საფრთხე თავიდან იქნას აცილებული.

„ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიასთან, პირველ საჯარო სკოლის შენობასთან, პოლიციის შენობის შესახვევთან და კიდევ რამდენიმე ადგილას ბარიერებს დავამონტაჟებთ, რათა უსაფრთხოების ნორმები დედოფლისწურობი განსაკუთრებულად იყოს დაცული. გზების თანამედროვე სტანდარტებით დახაზვაც საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება, ამიტომ, გადავწყვიტეთ, სპეციალური ოთხკუთხა სანათები დამონტაჟდეს, რომელიც აპრობირებული მეთოდია და ამ შემთხვევაში ყოველწლიურად განახლება აღარ დასჭირდება და დამატებით სამუშაოებს თავიდან ავიცილებთ,“ - განუცხადა „შირაქს“ ლევან ბალაშვილმა.

საკრებულოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ბიუჯეტის ზრდის შედეგად სხვადასხვა კატეგორიების დაფინანსების ზრდაც მოხერხდა. ითქვა, რომ მუნიციპალიტეტში საგზაო ნიშნების დამონტაჟებისთვის ამჯერად 5 000 ლარი გაინერა.

შეგახსენებთ, დედოფლისწურობის ბიუჯეტი რამდენიმე დღის წინ კიდევ 489 000 ლარით გაიზარდა, საკრებულოს თავმჯდომარის, ლევან ბალაშვილის განმარტებით, რაიონს გასულ წლებთან შედარებით ამჯერად გაორმაგებული ბიუჯეტი აქვს. ამ დროისთვის დედოფლისწურობის ბიუჯეტი 9 018 100 ლარით განისაზღვრა.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწურობა დაისეტყვა

28 მაისს 15 წუთის მანძილზე გაგრძელდა ძლიერი სეტყვა დედოფლისწურობი. წვიმის სახით მოსულმა ქარმა ნალექმა პრობლემები მთელს რაიონში შექმნა. ზიანი მიადგა საგარეოებს, განადგურდა მცენარეები, დაზიანდა ხეხილი და მოქალაქეთა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები.

განსაკუთრებული ზიანი მიადგა სოფელ გამარჯვების მაცხოვრებლებს. სეტყვამ დედოფლისწურობის 7 სოფელში ენერგომომარაგების შეზღუდვაც გამოიწვია. ამ დრომდე ელექტროენერჯის გარეშე დარჩა სოფლები გამარჯვება, ზემო მაჩხანა, არბოშიკი, მირზანა, ხორნაბუჯი, ქოეთი და ოზანა.

სოფელ გამარჯვების მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ მათ ვენახი, ნათესები და ხილი გაუფუჭდათ, მათივე ინფორმაციით დაიტბორა რამდენიმე მაცხოვრებელი სახლიც.

„შირაქი“ სოფლის რწმუნებულებსაც ესაუბრა. სოფელ გამარჯვების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ელგუჯა ნიკლაური ადასტურებს, რომ სეტყვამ მცენარეები განადგურა და ენერგომომარაგების შეზღუდვა გამოიწვია, თუმცა სოფლის რწმუნებულს სახლების დატბორვასთან დაკავშირებით არაფერი სმენია.

როგორც კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწურობის სერვისცენტრის მენეჯერმა ვლადიმერ მოსულოშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დაზიანებების აღმოსაფხვრელად მობილური ჯგუფი ადგილზე ოპერატიულად გავიდა.

უამინდობის მოუხედავად, სხვა დღეებისგან განსხვავებით, ქალაქ დედოფლისწურობი ელექტროენერჯის მიწოდება არ შეწყვეტილა. ზუსტი ზარალის ოდენობა ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

კახეთში საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის ფილიალი გაიხსნება

უახლოეს მომავალში კახეთში საქართველო - იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის ფილიალი გაიხსნება - ამის შესახებ საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მასაიოში კამოჰარამ განაცხადა.

მისი თქმით, ფილიალი ხელს შეუწყობს კახეთისა და იაპონიის იანსეს პრეფექტურის მჭიდრო ურთიერთკავშირს, მათ შორის განათლების სფეროში.

ელჩმა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოიეში იაპონელი ბავშვების ნახატები დაათვალიერა, რის შემდეგაც აგრარულ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტებს და პროფესორებს მასწავლებლებს შეხვდა.

კალიის მიერ დაწინაურებული ფართობები შეიწამლა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აღმოსავლეთ საქართველოში კალიების წინააღმდეგ 2 435 ჰა ფართობი დაამუშავა. ამჟამად იტალიური კალიის, მაროკოული კალიისა და კუტკალიების წინააღმდეგ წამლობა გრძელდება კახეთის რეგიონში.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვერიკო გულუამ „ქიზიყს“ აცნობა, ამ ეტაპზე კახეთში - ახმეტის, სიღნაღისა და დედოფლისწურობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დამუშავებულია 1 765 ჰა დაზიანებული ფართობი. ქვემო ქართლში - მარნეულისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში - 400 ჰა ფართობი, შიდა ქართლში - ქარელის მინიციპალიტეტში - 270 ჰა.

აღნიშნული ღონისძიება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსამედობის“ ფარგლებში ხორციელდება.

სამთაწურობი ხიდის გახსნას ითხოვენ

დაკეტილი ხიდის გახსნას ითხოვენ დედოფლისწურობის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწურობი მცხოვრები ინგილოები. როგორც მოსახლეობამ რადიო „ჭრეთთან“ საუბარში განაცხადა, ხიდის გახსნა საავტომობილო მოძრაობისთვის მათთვის მნიშვნელოვანია, რადგან კარგავენ კავშირებს იქ მცხოვრებ ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან.

გასულ წელს ხიდის გახსნა მოითხოვა პარლამენტში დედოფლისწურობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმაც, თუმცა ხიდი ამ დრომდე არ გახსნილა. ადგილობრივ მოსახლეობას მიზეზი, რის გამოც ხიდი დაკეტილი, აბსურდულად მიაჩნია. მაგალითისთვის მათ საპარლამენტო არჩევნები მოჰყავთ, როცა ხიდი გაიხსნა. თუმცა არჩევნების დასრულების შემდეგ ისევ დაკეტეს.

როდის გაიხსნება ხიდი - ამ კითხვაზე დაზუსტებული პასუხი არ აქვთ დედოფლისწურობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილის თქმით, სამთაწურობის ხიდი საავტომობილო მიმოსვლისთვის არასდროს ყოფილა გახსნილი, თუმცა არ არის წინააღმდეგი, რომ ხიდი გაიხსნას.

სამთაწურობი მცხოვრები ინგილოები საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის გახსნას თითქმის 2 წელია ითხოვენ. სამთაწურობის ხიდზე ავტომობილებით გავლა, ხიდის დაზიანების მიზეზით, 2010 წელს აიკრძალა. სამთაწურობი მცხოვრებ ინგილოებს საინგილოში გადასვლა იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ხიდზე ფეხით გავლენ. ამის გამო მათ ლაგოდეხის სასაზღვრო გამშვები პუნქტით სარგებლობა უხდებათ, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მიმინოშვილს ხატია დეკანოიძე, დეკანოიძეს დავით აფრასიძე შეცვლის

პოლიციის აკადემიის რექტორი ყოფილი ტელენამყვანი, შსს-ის არქივის უფროსი დავით აფრასიძე იქნება.

ამის შესახებ სააგენტო „პირველს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიასვილმა განუცხადა.

დავით აფრასიძე 1993-98 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა და მიიღო საერთაშორისო ურთიერთობათა ბაკალავრის კვლავიფიკაცია, 1999-2000 წლებში კი ამავე უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. აფრასიძე 2001-2003 წლებში სწავლობდა გერმანიაში, ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო ფილოსოფიის დოქტორის კვალიფიკაცია.

დავით აფრასიძე აღნიშნულ თანამდებობაზე ხატია დეკანოიძეს შეცვლის, რომელიც მათი მიმინოშვილის გათავისუფლების შემდეგ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა.

დედოფლისწყაროს ბიუჯეტი ბაიბაბდა

30 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეშვიდე სხდომა ჩატარდა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი უძღვევოდა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითხმეც საკითხს უყარეს კენჭი.

საკრებულომ 2012 წლის პირველ კვარტალში ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მოისინა. განკარგულებებში სხვადასხვა სახის ცვლილებებიც შევიდა.

სხდომის დასაწყისში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა საკრებულოს წევრებს სასიამოვნო ინფორმაცია მიანოდა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დედოფლისწყაროს ბიუჯეტი კიდევ 489 000 ლარით გაიზარდა, რაც სხვადასხვა სამუშაოებს მოხმარდება. გამგებელმა დეტალურად განმარტა, თუ რომელ კატეგორიებს დაემატა დაფინანსება.

„კეთილმოწყობის სამსახურებს მოაკლდა 50 ათასი ლარი, რომელიც გზების მშენებლობისკენ მიიმართა. ამ თანხით იგეგმება არბომიკო-ზემო მაჩხანის დამაკავშირებელი გზაზე ბოგინის მოწყობა. გზების რეაბილიტაციაზე გვაქვს ზრდა 80 ათასი ლარით. ჩვენი მუნიციპალიტეტი ნებისმიერ სეზონზე ტექნიკას საჭიროებს, არ გვექნება გრეიდერი და მის შესაძენად 200 ათასი ლარი გაითვალისწინეთ. ქალაქის ცენტრში არსებული სკვერების განათებისთვის 25 ათასი ლარი გამოიყო, ამ თანხით განათდება ყველა სკვერი. დაგეგმილი არის ასევე თავდადებულთა მოედანზე შადრევნის მშენებლობა და მოედნისა და შადრევნის განათება. მემორიალზე დეკორატიული განათება მოეწყობა. 130 ათასი ლარით გავზარდეთ სპორტკომპლექსისთვის გათვალისწინებული თანხა. აღმოჩნდა, რომ სრული რეაბილიტაციისთვის საკმარისი არ იყო და დამატებას საჭიროებდა. საბოლოო ვაშში, ყოფილი კინოთეატრის შენობაში სპორტული კომპლექსის მშენებლობას 430 ათასი ლარი მოხმარდება. საერთო ჯამში ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 489 ათასი ლარით და ამ დროისთვის დედოფლისწყაროს ბიუჯეტი განისაზღვრა 9 018 100 ლარით,“ - აღნიშნა ნიკოლოზ შანშიაშვილმა.

„ქონების გაყიდვიდან შემოსული თანხით გადავწყვიტეთ ვიზრუნოთ, როგორც ქალა-

ქის ვიზუალურ მოწყობაზე, ასევე საჭირო ტექნიკის შეძენაზე. დღეისთვის შესაბამისი ტექნიკა არ გვაქვს და ამის გამო გზები მოუნერსებელია. წელს პრობლემა შეგვექმნა და ამიტომ ვზრუნავთ ტექნიკით გამდიდრებაზე. ეს არის ქონება, რომელიც რაიონს მრავალი წლის მანძილზე გამოადგება. ცხადია, გვექნება მოლოდინი, რომ ბიუჯეტი გაიზარდებოდეს, თუმცა მოხარული და გაკვირვებული ვარ, რომ ფაქტობრივად ამაჟამად ორი წლის ტოლფასი ბიუჯეტი გვაქვს. ეს კი საკმაოდ საპასუხისმგებელია. რაც შეეხება საბავშვო ბაღების მდგომარეობას, აქამდე მხოლოდ შენობების ელემენტარული სამუშაოებით ვიფარდებოდით. ახლა კი, რადგანაც ბიუჯეტი გვაძლევს ამის საშუალებას, მინდა გითხრათ, რომ სერიოზული რეაბილიტაცია დაიგეგმა და სულ მალე ს ა კ მ ა ო დ ს ა ხ ე ც ვ ლ ი - ლ ი საბავშვო ბაღების შენობები გვექნება. ოთხი ს ა ბ ა ვ შ ვ ო ბ ა ლ ის შენობის რეაბილიტაციას ვ გ ე მ ა ვ თ .

საუბარი არ არის ინვენტარზე, იგულისხმება შენობების რეაბილიტაცია. ამისთვის გათვალისწინებული თანხა კიდევ 75 ათასი ლარით გავზარდეთ,“ - განმარტა საკრებულოს თავმჯდომარემ.

ცვლილება შევიდა ასევე „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 2012 წლის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 დეკემბრის №34 დადგენილებაში, რაც ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო

მოხელეებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული დაზიანების ხარჯების ანაზღაურებას. პროექტი გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსმა ივანე ხელაშვილმა წარმოადგინა.

ცვლილების შეტანა სახანძრო-სამაშველო სამსახურის წვრთნების მიმდინარეობის დროს მომხდარ შემთხვევას უკავშირდება. რამდენიმე დღის წინ შენობიდან ჩამოვარდნილი ერთ-ერთი მაშველი კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ სამკურნალოდ თბილისში გადაიყვანა. ცვლილებების მიხედვით, მსგავს შემთხვევებში, მოხელეთა მკურნალობის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

„საბედნიეროდ, აქამდე არ გვექონია ისეთი შემთხვევა, რომ საჯარო მოხელეს ს ხ ე უ ლ ი ს დაზიანებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიელო. ამდენად, ამ საკითხზე არც გვიფიქრია... ცხადია, ჩვენ ჩვენს თანამშრომლებს უყურადღებოდ არ ვტოვებთ და მხარში მაქსიმალურად ვუდგავართ, სოციალური პაკეტი ძალიან გავზარდეთ და დავხვეწეთ, მაგრამ აქამდე მსგავსი ფაქტი გათვალისწინებული არ გვექონია. მოგეხსენებათ, რომ წელს სახანძრო-სამაშველო სამსახურში მოხდა შემთხვევა. ახლა პროექტი უფრო დაიხვეწება და კომისიას საშუალება ექნება დაუბრკოლებლად იმუშაოს,“ - აღნიშნა ლევან ბალაშვილმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ბიუჯეტის ზრდის შედეგად სხვადასხვა კატეგორიების დაფინანსების ზრდაც მოხერხდა. ითქვა, რომ მუნიციპალიტეტში საგზაო ნიშნებისთვის

ამჯერად 5 000 ლარი გაიწერა. სასწავლო დაწესებულებებთან და ცენტრალური გზის საშიშ მოწვევებში იგეგმება ბარიერების დამონტაჟება, რათა გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობა შეიზღუდოს და საფრთხე თავიდან იქნას აცილებული. საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, დედოფლისწყაროში გზების დასაზვის თანამედროვე სტანდარტებიც დაინერგება და ამაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

დეპუტატებმა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის არჩევნებთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაქრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ იმსჯელეს. გადამწყდა, რომ პლაკატების გამოფენა ნებადართულია, კულტსახლების ფასადებსა და მათ კაპიტალურ მესერებზე, განათების ბოძებზე და სხვა. სააგიტაციო პლაკატების გაკვრა აიკრძალა თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს და პოლიციის სამმართველოს შენობებსა და მესერებზე.

ამას გარდა, საკრებულოს წევრებმა დედოფლისწყაროში სტიქიით მიყენებული ზარალის დადგენი კომისიის შექმნის თაობაზე იმსჯელეს. კომისია ძირითადად ქარის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთების მფლობელთა განცხადებებს შეისწავლის.

სხდომაზე საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაც განისაზღვრა.

დეპუტატებმა მოისინეს ანგარიში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და სხვადასხვა კომისიების მიერ 2011 წელს განუხლები მუშაობის შესახებ. საკრებულომ მათი მუშაობა ნაყოფიერად მიიჩნია და დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

სხდომაზე ესწრებოდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ორი თვის განმავლობაში თვალს ადევნებდნენ საკრებულოს მუშაობის პროცესს. ლევან ბალაშვილმა მოზარდების დაინტერესებით კმაყოფილება გამოხატა. სხდომაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი, შუკრი ხუციშვილიც დაესწრო.

ილია მარტყოფლიშვილი



არც ისე პატარაა საქართველო...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულ გმირთა მემორიალის გახსნის ცერემონია იგეგმებოდა, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე სხვა მასშტაბური ღონისძიებების გამო გადაინია. მემორიალის გახსნის გადადების მიზეზი ის გახდა, რომ ადგილობრივი ოფიციალური პირები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი ქუთაისში ამავე დღეს დაგეგმილ ღონისძიებებზე დასასწრებად გაემგზავრნენ. მემორიალი დედოფლისწყაროს საკრებულოს ძალიანხვედით აშენდა, საგარეუდოდ, ლენის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაჭირა.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს დედოფლისწყაროში ორი ღონისძიება მიეძღვნა - სპორტული შეჯიბრება და სადღესასწაულო კონცერტი ქალაქის კულტურის სახლის სცენაზე.

კულტურის სახლში ღონისძიება 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო და მასში ადგილობრივი ფოლკლორული თუ ქორეო-

გრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ. „ხორნაბუჯი“, „შირაქი“, „იმედი“, სოფელ სამთანყაროს ფოლკლორული კოლექტივი, სოფელ ზემო ქედის კულტსახლთან არსებული ხალხური სიმღერების ანსამბლი, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები „მანდილი“ და „ქიზიყი“, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ხალხური სიმღერის გუნდი „ხორნაბუჯი“, სოფელ არბომიკის კულტურის სახლთან არსებული გოგონათა კვარტეტი, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ჯგუფი „ოცნება“. სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ამ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ანსამბლები დედოფლისწყაროს სოფლებიდან სამთანყაროს, ზემო ქედსა და არბომიკიდანაც ჩამოიყვანეს. საკონცერტო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, რასაც მაყურებლის აპლოდისმენტებიც ადასტურებდა.

კონცერტს ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ალუღიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილი, გამგეობის კულტურის,

ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი და კულტურისა და სპორტის ცენტრის უფროსი ივანე შანშიაშვილი. კონცერტის დაწყებისთანავე დარბაზს მაყურებლის რანგში ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებიც ეწვივნენ.

დღის 11:00 საათზე სოფელ ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ საჯარო სკოლაში სპორტული ტურნირი ჩატარდა ფრენბურთში. შეჯიბრი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო, მასში მონაწილეობას 6 გუნდი იღებდა. ტურნირში, რომელიც საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად, სოფელ ოზანის, გამარჯვების, სამრეკლოს, ხორნაბუჯის და ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდები მონაწილეობდნენ. დაძაბულ ორთაბრძოლაში პირველობა არავის დაუთმო სოფელ ხორნაბუჯის გუნდმა.

როგორც კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტმა, სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა თენგიზ გუმაშვილმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, პირველი ადგილი მასპინძელი მოხლის, ხორნაბუჯის გუნდმა მოიპოვა, მათ სპეციალურად დაწესებული თასი და სიგელები გადასცეს. მეორე ადგილი სოფელ გამარჯვების გუნდს ხვდა წილად, ხოლო მესამე ადგილზე სოფელ სამრეკლოს გუნდი გავიდა. ტურნირს გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები დაესწრნენ.



გამარჯვებული გუნდი თასითა და საპატიო პრიზებით დააჯილდოვეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ალექსანდრე ალუღიშვილმა, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ივანე შანშიაშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გიორგი ყოჩიაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

P.S. როდესაც საქართველოს ისტორიას ვკითხულობ, გუშინდელი დღეებდღეობის ნაწილი ხდება და შორეული წარსული გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ დღეს რათა ღირსეულ მომავალს ჩაუყაროთ საფუძველი. დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნით ქართველები კიდევ ერთხელ ვინსენებთ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს და ვრწმუნდებით, რომ „არც ისე პატარაა ეს ჩვენი საქართველო“



ანსამბლმა „იმედმა“ 5 წლის იუბილე იზეიმა

ანსამბლი ჩატარდა დედოფლისწყაროში მოქმედი ანსამბლ „იმედის“ საზეიმო კონცერტი. იმ დღით მათ მოლოდინობიდან მხოლოდ 5 წლის იუბილე აღნიშნეს, მაგრამ საზოგადოების წინაშე უკვე სერიოზული გზავნილი გააკეთეს. იმის დასამტკიცებლად, რომ „იმედმა“ ჩვენს რაიონში, და არა მარტო რაიონში, თავისი სახელი დაიმკვიდრა, დასტურად ისიც კმარა, რომ საზეიმო კონცერტზე დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. ანსამბლის ხელმძღვანელი ხეჩია ზუბიაშვილი დარბაზის ფოიედან ადევნებდა თვალს თავის მოსწავლეებს, აშკარად ეტყობოდა, რომ ემოციების მოთოკვა ასე უფრო ეადვილებოდა. ცხადია, ხუთწლიანი მოღვაწეობისა და განუღი ნამუშევრის ასეთი დიდი მასშტაბით სამზეოე გამოტანა არ გახლდათ ადვილი საქმე. ოთხი ასაკობრივი ჯგუფის ასამდე მოცეკვავე და 12 დადგმული ცეკვა, ამჯერად მართლაც სერიოზული განაცხადი გახლდათ. ყველაზე მთავარი და დადებითი, რაც ხეჩია ზუბიაშვილის მოცეკვავეების გამოსვლას ახასიათებს, მაყურებელში განწყობის და ძლიერი ემოციის გადმოტანაა, რასაც ისინი სხარტი მოძრაობებით და შეძახილებით ყოველთვის მშვენივრად ახერხებენ.

მაყურებელში განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა „იმედის“ საავტორო ცეკვა „მია წყნეთის“ და ყველასთვის საყვარელი ცეკვა „ხორუმის“ შესრულებამ. ძალიან მომწონა ზაქრო ჭუაძე, რომელიც გადასარევიად ასრულებდა „ხორუმის“ რთული ილეთებს. მაყურებლის თვალს ასევე შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ანა და გიორგი კვინინაშვილების ცეცხლოვანი ცეკვა, რომლებიც უკვე ანსამბლ „იმედის“ სახეები არიან. დიდი მონონება და მქუხარე ტაში დაიმსახურა პატარა თამაზ ალუღოშვილის ცეკვამ და ფანდურზე სიმღერამ.

საიუბილეო საღამოს აღამაზებდა პედაგოგ დალი ელისაშვილის ქართული ხალხური სიმღერების გუნდი „მანდილის“ და „ქიზიყის“ მიერ შესრულებული სიმღერები.

საპატიო სტუმრებს შორის კონცერტს ესწრებოდა დეკანოზი ნიკოლოზი და მისი მეუღლე ეკატერინე, მუნიციპალიტეტის გამგების და საკრებულოს თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ

შანიშვილი, გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ალუღოშვილი, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ივანე შანიშვილი. აქვე გახლდნენ „ქუჩის მუსიკოსები“; გია დავითაშვილი, დათო ნანიშვილი და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი ვახტანგ კახიძე.

კონცერტის დასასრულს სწორედ ბატონმა ვახტანგ კახიძემ მოულოცა და მადლობა გადაუხადა როგორც ანსამბლის ხელმძღვანელს, ასევე მოცეკვავეებს. მანვე გააკეთა ანსამბლის შემაჯამებელი შეფასება, - „უპირველესად მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, მოცეკვავეებს, პედაგოგ ხეჩია ზუბიაშვილს ამხელა შრომის განწევისთვის და მინდა გითხრათ, რომ უამრავ რეგიონში ყოფილხარ და დავსწრებიხარ იმ კუთხის ხალხის ცეკვებს. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ ცეკვაში ოთხი-ხუთი ცეკვა გაუერთიანებიათ, ანდა რომელიმე ცეკვის ასლია გადმოღებული, დღეს მე ვიხილე სრულიად თვითმყოფადი, ნამდვილი ქართული ცეკვები, რომელიც მხოლოდ მათია და არავის შვავს. მე არ ვამბობ, რომ ხარვეზი არ იყო, რა თქმა უნდა, ანსამბლს მუშაობა და დახვეწა სჭირდება, მაგრამ რეგიონის დონეზე მართლაც დიდი შრომა ჩადებული. ჩვენ აქცენტს უფრო სხვა რამეზე ვაკეთებთ, ადგილობრივ, თვითმყოფად ნამუშევარზე, რაც უდაოდ შეიმჩნეოდა მათში. აქ იყო ისეთი მოძრაობები, რომელიც სრულიად ახალი გააზრებაა ქართულ ცეკვაში, თამამად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „იმედი“ ახალ, ორიგინალურ და სრულიად თავისებურ ცეკვის სტილს ამკვიდრებს, რომელიც გამოარჩევს სხვებისგან. მათ ცეკვაში შეიმჩნევა ქიზიყისთვის დამახასიათებელი მანერა. მე არ მინახავს რაიონის დონეზე ამხელა მასშტაბის ცეკვები დაიდგას და ნარმოჩინდეს თორმეტამდე ცეკვა, ხუმრობა როდია ამხელა რეპერტუარის გამოტანა სცენაზე, ეს გახლდათ სერიოზული ორსაათიანი ღონისძიება. პირადად მე და ჩემი თანმხლები სტუმრები ფრიად მოიხიბლეთ, მოგვწონდა ცეკვა „სვანური“, საოცარი გახლდათ, როგორც გავიგე „მია წყნეთის“ დადგმა, „ქალ-ვაჟთა მთიულურზე“ ხომ აღარ ვსაუბრობ. ჩვენ მათი ღვაწლი აუცილებლად უნდა დავაფასოთ და რამდენიმე ცეკვით აუცილებლად მივიწვევთ „იმედს“ თბილისურ ღონისძიებებზე.“

ოვაციებისა და შეძახილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაყურებელი საიუბილეო საღამოთი კმაყოფილი დარჩა. თავისი გამოსვლით კმაყოფილები იყვნენ ასევე მოცეკვავე ალსაზრდელბიც და თავად მათი პედაგოგიც. - „ეფიქრობ, რომ კარგი ღონისძიება გამოგვივიდა, მაგრამ მე საკუთარ თავსაც და ბავშვებსაც ყოველთვის მეტ მოთხოვნას ვუყენებ. ეს ასეც უნდა იყოს. ცოტა გადამელაღწენ ბავშვები, მათ ძალიან მოკლე დროში უწევდათ ფორმების გამოცვლა და ამასთან ხანგრძლივი დროით ცეკვა, მაგრამ მისარია, რომ ჩვენ ჩვენი ანგარიშით წარვსდევით საზოგადოების წინაშე. რაც მეტად ჩავატარებთ ასეთ ღონისძიებებს, მით უკეთესი თავად ბავშვებისთვის. რადგან მოცეკვავე სცენამ უნდა გაზარდოს. მე შემეძლო

ჩემი მოსწავლეებიდან ამერჩია 30 ან 40 ბავშვი და სრულიად დახვეწილი ცეკვით წარმოემჩინა ისინი, მაგრამ სწორედ მათთვისვე ვარჩიე ყველა მათგანის, მათ შორის ახალბედა ბავშვების გამოყვანა. მინდოდა, სცენას მიჩვეოდნენ და მისი მტვერი შეეგრძნოთ. მგონია, სწორად მოვიქციე, რადგან სწორედ ის პატარა ახალბედები ამშვენებდნენ თავისი ცეკვით დარბაზს,“ - განაცხადა ანსამბლის ხელმძღვანელმა ხეჩია ზუბიაშვილმა.

წარმატებებს, ათი და კიდევ მრავალი ათეული წლების იუბილის გადახდას ვუსურვებთ ჩვენს რაიონში დაბადებულ ანსამბლ „იმედს“, რამეთუ აშკარაა, მათში ქიზიყური სული და პედაგოგის დიდი შრომა ჩადებულა.

ლალი მხერჩვილი



ქართულობის ინდიკატორი

რვა წლის წინ რამდენიმე პატარა ბიჭუნამ დალი მანსაველებელთან ერთად ქართული ხალხური სიმღერების გუნდი ჩამოაყალიბა. ისინი მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფესტივალებსა თუ კონკურსებზე, იღებდნენ სიგელებს, დიპლომებს და მასთან ერთად მაყურებლისა და პროფესიონალების პოზიტიურ შეფასებასაც და სიყვარულსაც. დედოფლისწყარო მათით ამაყოფდა. ეს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „ქიზიყი“ დაბადების ისტორიაა. ოთხი წლის შემდეგ დალი ელისაშვილს გაუჩნდა იდეა, ამჯერად გოგონებიც შემოეკრიბა და მათთვისაც შეესწავლა ხალხური სიმღერა. ასე შედგა გოგონათა ანსამბლ „მანდილის“ ნათლობა. დღეს ანსამბლების რეპერტუარში ქართული ხალხური სიმღერების უმრავლესობა შედის. მათ გასაოცარი ოსტატობით ასრულებენ პატარა მომღერლები. ბევრი ნორჩი შემსრულებელი მუსიკალური ოჯახიდანაა: გვანცა ვარდიანიშვილის პაპა ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელია. გენმა გვანცაშიც იმძლავრა და პირველივე კონცერტზე შეასრულა ისეთი

რთული სიმღერა, როგორცაა „ბინდის-ფერია სოფელი“; ქეთი ჩაფიაშვილის ბეზია და ბიძაც მღერიან; წინაპრების გენმა განაპირობა ასევე დები ლოლაშვილების მუსიკალური ნიჭი. გიორგი ჩიბუხაშვილი კი, რომელსაც მართლაც გამორჩეული მუსიკალური მონაცემები აქვს, რეპერტორშიც ყოველდღე დედასთან ერთად ფეხით დადის სოფელ სამრეკლოდან. ესეც ქართული სიმღერისათვის შენიშნული ერთგვარი მაგალითი! გოგონათა ანსამბლის „მანდილი“ რამდენიმე წევრი კი ხალხურ სიმღერების პარალელურად დედოფლისწყაროს ტაძარში ქართულ საგალობლებს ასრულებს. მათი რეგენტი თეონა ბენაშვილია, ხოლო პედაგოგი - მარიკა პირზადოვა.

30 მაისს დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის დარბაზში ორივე ანსამბლის კონცერტი გაიმართა. ბავშვებმა პოლიფონიური სიმღერების უბადლო შესრულებით კიდევ ერთხელ მოხიბლეს მსმენელი. სცენაზე ერთმანეთს სცვლდნენ თეონა ბენაშვილი და ნათია ლატარია, მარი გონაშვილი და მარი ნატროშვილი,

გიორგი ვარდიანიშვილი და ბაჩანა ალუღოშვილი და კიდევ უამრავი ნორჩი მომღერალი, რომლებიც საქართველოს სიყვარულს სიმღერით გამოხატავდნენ.

რვა წლის წინ, მაშინ, როცა ანსამბლი „ქიზიყი“ ჩამოყალიბდა, ის მამა ნიკოლოზმა დალოცა. ტრადიცია არც წელს დაირღვა. კონცერტზე მოძღვარმა ისტორია გაიხსენა: - „8 წლის წინ გაუბედავი პატარა ბიჭები დადგნენ სცენაზე, ახლა კი პროფესიულად ასრულებენ ხალხურ სიმღერებს. მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ დალის იმ ეროვნული საქმისათვის, რასაც ის აკეთებს. ბავშვები ავლენენ თავიანთ ნიჭსა და შესაძლებლობებს და ჩვენც სიამოვნებით ვისმენთ მათ შესრულებულ სიმღერებს.“

ქართველ ხალხს მონამებრივი ცხოვრების გზა გაუვლია. დიდი მსხვერპლის წყალობით შეუნარჩუნებია არსებობა. სისხლსა და უბედურებას მისთვის ცხოვრების ხალხის არ წაურთმევია, შემოქმედებითი ენერჯია არ მოუფუჭებია, გართობისა და მხიარულების გუნება არ გაუფუჭებია. „საკვირველი ხალხია გურჯები: მუშაობენ-მღერავენ, იბრძვიან-მღერავენ, ქორნილი აქვთ-მღერავენ, კვებებიან და მაინც მღერავენ! ან დიდი ჭკუისაგან სჭირთ, ან დიდი უჭკუობისგან!“ - უბნება გაცეხებული ისკანდერ-თურქი ნოსტელ გლეხს გორგასალ ნასყიდაშვილს ლევან გოთუას რომანში „გმირთა ვარამი“. ეს იმიტომ, რომ ტრაგიკულში ყოველთვის არის ოპტიმიზმი. ქართველი ხალხის სულიერი თვისება კი სწორედ ტრაგიკული ოპტიმიზმია. ეს აძლევდა მას ძალ-ღონეს ისტორიის გრძელ დახლართულ ლაბირინთში გამოივლო და ყოველგვარი ჭირ-ვარამისთვის გაეძლო.



წელს ანსამბლი დატოვებს სპარტაკ შანიშვილი და გიგოლი პეტრიაშვილი. ესენი ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც რვა წლის განმავლობაში მღეროდნენ გუნდში. მათ კულტურისა და

სპორტის ცენტრის სახელით მადლობა გადაუხადა კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიანიშვილმა და წარმატებები უსურვა ცხოვრების რთულ გზაზე. კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელმა სამასსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა მგალობელთა გუნდის რეგენტი თეონა ბენაშვილი და პედაგოგი მარიკა პირზადოვა.

კონცერტის დასასრულ სცენაზე გამოვიდა ანსამბლ „ქიზიყის“ საიმედო ცვლა ნორჩი შემსრულებლების სახით, რომელთა რეპერტუარშიც უკვე ორმოცდაათამდე სიმღერა და საგალობელი შედის. ჯერ-ჯერობით ფოლკლორულ ანსამბლს მხოლოდ ერთი გოგონა ჰყავს-მარი გონაშვილი.

ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი კვლავ ხანგრძლივი ოვაციით და პედაგოგისადმი სამადლო ხელი სიტყვებით დასრულდა. კონცერტი მოამზადა და მიჰყავდა კულტურის სახლის დირექტორს ცარო მარტიანიშვილს.

ინგა შილაშვილი

ზემო მარხაანი გუშინ და დღეს

სოფელი ზემო მარხაანი ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ის დედოფლისწყაროს რაიონული ცენტრიდან 22 კილომეტრის მოშორებითაა გაშენებული. მისი ისტორია საუკუნეებს ითვლის, თუმცა აქ ფართოდ გავრცელებული ნატროშვილების გვარი მეთხუთმეტე საუკუნიდან გაჩნდა, როცა ამ გვარის კაცი მარხაანის ტერიტორიაზე სოფელ ძეგვიდან გადმოსახლებულა და ამარაგებულა. საზოგადოდ კი, სოფლის სახელწოდება სიტყვა „მარხი“-ს მიხედვით წარმოიშვა, რომელიც თურმე ჭროლას ნიშნავს. მოგვიანებით მარხაანი ორ ნაწილად გაიყო - ზემო და ქვემო მარხაანად. ზემო მარხაანი დედოფლისწყაროს შემადგენლობაში დარჩა, ხოლო ქვემო მარხაანი სიღნაღს მიეკუთვნა.

დღესდღეობით სოფელ ზემო მარხაანში 3200 მოსახლეა. აქ ნატროშვილების, ჯანაშვილების, ჯამასპიშვილების, მოსულიშვილების, ბენაშვილების, ბოსტოლანაშვილების და ბოსტაშვილების გვარის ხალხი სახლობს. გადმოცემით ერეკლე მეფის თაოსნობით ამ სოფელში რვა კოშკი აუშენებიათ, რომელთაგან სოფელს მხოლოდ ერთი „ბენაანთ უბანში“ არსებული კოშკი შემორჩა. სოფელი მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით. საუკუნეების ქართველების მიუხედავად ხალხში არსებულ რწმენას დღემდე სათუთად შემოუნახავს, „მთავარანგელოზის“, „ყველაწმინდის“, „არმათიონის“, „კავთის“, „წმინდა ნინოს“, „წმინდა გიორგის“ და თელანყლის ტერიტორიისკენ მიმავალ გზაზე მდებარე „ელისას“ სალოცავები. სოფელს ჰყავს მოძღვარი მამა გიორგი (ჯინაშვილი) და მრევლი. შაბათ-კვირას სოფლის სალოცავებში, ძირითადად „წმინდა გიორგის სახელობის“ ტაძარში აღევლინება ნირვა - ლოცვა, რომელსაც თითქმის მთელი სოფელი ესწრება.

როგორ ცხოვრობს სოფლის მოსახლეობა

სოფლის ცენტრში, ტრადიციულად, შუახნის მამაკაცები და ასაკში შესული ბერძნები თავყრილობენ, საუბრობენ იმ ქვეყნისას, ამ ქვეყნისას, იხსენებენ ძველს, ახალს, როგორც თავადვე ამბობენ - გულს აყოლებენ.

„ჩვენი საქმე ეგრეა შვილო, „უძაღლო ქვეყანაში, უფროდ დავიარებოდით“ - თავადვე ხედავთ, სოფელი დაბერდა, აგერ სკოლის ბავშვების გარდა ახალგაზრდას ვეღარა ნახავთ, აბა როგორ ვიქნებით, წინაზე გუბერნატორი იყო ჩვენთან და იმასაც იგივე ვუთხარით და თქვენც იგივეს გავიმეორებთ: მიშას უთხარით, სალიარკაზე და ბენაანზე ფასი დასწიოს! კაი კაცია, ძალიან გვიყვარს და ხმას ისევ მას მივცემთ, მაგრამ აი, მაგამი არ ვეთანხმებით. აქ რომ მოვიდეს, პირშიც იგივეს ვეტყვოდით. შე კაი ადამიანი, ზაქათალას რომ გახვალ, 19 ლარი ჯდება ერთი „კანისტრა“ სალიარკა, ჩვენთან კი, 45 ლარზე ავიდა ფასი. ეს ოხერი, მამ სამართალი აღარ არის?!“ - ამბობს 76 წლის დიმიტრი ჭილიტაშვილი.

- „მართლს ამბობს, შვილო, ჩვენი მარჩენალი მხოლოდ მინადა ვენახი, ვენახები „ბუღაყები“ და „ხირისი“ ტერიტორიებზე გვაქვს, 10 და 25 კილომეტრითაა დამორებული ჩვენი სოფლიდან, გვიჭირს ტრანსპორტირება. ვენახს მუდამ ფერება უნდა, თუ ხშირად არ მოწამლე, ნაყოფს არ მოგვემს, ჩვენ კი იქ საარული ძვირი გვიჯდება - სანავს ცეცხლი უკიდია, ჭირს ნასვლა, თავს

კი როგორ გავანებებთ, მთელი ცხოვრების ნაამაგარი იქა გვაქვს ჩაყრილი, საკუთარი სისხლი და ხორცივით გვიყვარს, თანაც ჩვენი სარჩო და ლუკმის მომცემი მარტო ეგ ვენახებილია!“- ამბობს ზემო მარხაანის მკვიდრი 72 წლის ომან უზუნაშვილი.

- „ჩვენი გასაჭირი შემდეგშია - წყლის პრობლემა მთელ სოფელს მოეხსნა, ყველა იღებს წყალს, მაგრამ სოფლის ცენტრში 6 ოჯახი ვცხოვრობთ და ჩვენ წყალი არა გვაქვს. არადა, მთავარი მილი ჩვენს გზაზე გადის. ასე ამბობენ, არ შეიძლებაო, როდის დაგვადგება სამველი, არ ვიცით.“ - აცხადებს ტარიელ გოგილაშვილი.

ზემო მარხაანელები სოფლის დეპუტატზე ვანო ნატროშვილზე და გამგელების რწმუნებულზე სოფელ ზემო მარხაანში ლევან იაკობიშვილზეც საუბრობენ. - „სოფლის თავკაცი კარგი, ჭკვიანი ბიჭია, მაგის ცუდი არ გვსმენია, მაგრამ ფინანსები რაიონის ხელშია და აბა, რა ვითხოვთ მისგან. რომც ვთხოვთ, ვერ დაგვეხმარება. ცუდი ნესი შემოიღეს, სოფლებს საკუთარი ბიუჯეტი წაართვეს, ჩვენ ჩვენი მოგვეცენ, რომ რამე გავაკეთოთ და გააკონტროლონ, თუ ეჭვი შეეპა-

ლო, მუშაობაზე ახლაც გვერჩის გული. ისე ვცხოვრობდით, ზღაპარია მაშინდელის ეხლანდელთან შედარება. აი ეს ადგილი დილაობით სავსე იყო სამუშაოზე წასასვლელად გამზადებული მოფუსფუსე ხალხით, სოფელი ახალგაზრდებით სავსე იყო, 10 საათზე უკვე ყველა თავის საქმეზე იყო დაშორებული, მოზირ-ყავე ხალხს სად იპოვიდი, სამუშაოც იყო და პურსაც ვჭამდით, წლის ბოლოს კარგი მონაგარიც შეგვექონდა სახლში. ვერც ვერაფერი პირიქითაა, ზოგიერთი ჯეილი, მთელ დღეს აქ დომინოს თამაშობს, ბარსა და თოხს კი, მხოლოდ განტვირთვისთვის თუ დაიჭერენ ხელში. აბა, ჩვენ როგორ უნდა ავშენდეთ?!“ - ამბობენ სოფლის უზუცესები.

სოციალურ პრობლემებს ვერც ზემო მარხაანში გავეჭვით. გურამ ნადირაძეს სამედიცინო პოლისის არქონის პრობლემა აწუხებს - „რამდენიმე თვის პენსია ერთიანად გამოვიტანე, რადგან ფული შემის შესაძენად მჭირდებოდა. ახლა არანაირი შემოსავალი აღარ მაქვს, გასულ წელს ვენახის ნაშლისგან მოვიწამლე, პოლისი მქონდა, ისე მიექიმეს რაიონის საავადმ-

ბისთვის მადლიერება გამოთქვა. სოფელს მინი- სტადიონი აქვს, მაგრამ მარხაანის მოსწავლე-ახალგაზრდობას საცურაო აუზის მოწყობაც სურს.

სოფლის საკრებულოში

სოფლის საკრებულოში გამგებლის რწმუნებული ლევან იაკობიშვილი, სპეციალისტები ქეთევან ნატროშვილი და გიორგი ჯანაშვილი დაგვიხვდნენ. ოდითგან ძლიერი სოფელი, ხმაურიანი კულტურის სახლი და საკრებულო ახლა თითქოსდა მოწყენილი მეჩვენა. ცხადია, თანამშრომლების სიმცირე ყოველთვის ქმნის ამგვარ განწყობას.

- „ბოლო წლებში მოხდა შიდა წყლების სისტემის სანახევრო რეაბილიტაცია, დაიგო ქვემო მარხაანთან დამაკავშირებელი 1600 მეტრი სიგრძის ასფალტი, გაკეთდა გარეგანათება, მონესრიგდა და გასუფთავდა წყაროს წყლები. ყოველწლიურად ნაწილობრივ ვცვლით და ვარემონტებთ თავნყაროდან თვითდინებით მომავალ 17 კილომეტრიან წყლის მილს. წელს ასევე უნდა მოხდეს ამ მილის ნაწილის რეაბილიტაცია. გედიქის ხეზე დაიდგა დამატებითი რეზერვუარი, დამონტაჟდა ტუმბო, საიდანაც ზაფხულის დღეებში წყლის კრიზისის დროს ვმარაგებთ ით წყლით. ასევე „ბნელა უბნის“ წყალმომარაგებისთვის წყალსატარზე შეიკვალა წყლის ტუმბო. სოფელში დადის ნავის მანქანა, მოსახლეობა ნავსაც ახლა მათი საშუალებით ყრის და კმაყოფილიცაა.“ - ამბობს ლევან იაკობიშვილი.

- „წელს კვლავ ვაპირებთ თავნყაროდან სოფელში მიმავალი წყლის მილის რესტავრაციას. ეს გახლავთ

1956 წელს ჩადებული მილი და, თავისთავად ცხადია, მუდმივ რემონტს საჭიროებს. უნდა გავარემონტოთ ასევე არბოშიკი - მარხაანის დამაკავშირებელი გზის ბოგირი, გზის ზოგიერთ მონაკვეთში დაიგება ასფალტი. შესაძლოა, სოფლის სათავეში ალვადგინოთ წყლის რეზერვუარი, საიდანაც სოფელი თვითდინებით მომარაგდება წყლით, ეს საკითხი ხალხმა გუბერნატორის ვიზიტის დროს დააყენა დღის წესრიგში. ვნახოთ, რა იქნება“ - ამბობს ლევან იაკობიშვილი.

სასკოლო ცხოვრება

მიუხედავად იმისა, რომ ზემო მარხაანის საჯარო სკოლაში დირექტორის ვაკანსია კვლავ თავისუფალია, აქ სწავლა ჩვეული რიტმით მიმდინარეობდა. ჩვენი მისვლისას მათთან ბათუმის ცირკი სტუმრობდა. სკოლის დირექტორის მოვალეობას ამჟამად ლია ფოროსმანაშვილი ასრულებს. მარხაანის საჯარო სკოლაში 222 მოსწავლე ირიცხება, მათ 37 პედაგოგი უწევთ კოორდინაციას სწავლაში. სკოლას ჰყავს ორი ოქროს მედლის კანდიდატი - თამარ და ელენე ნატროშვილები. - „ამ ეტაპზე სკოლის 4 პედაგოგია სერთიფიცირებული, ხოლო ერთ - ერთი მათგანი, ნანა ხატიაშვი-



რებათ. სოფლის თავკაცმა უფრო უკეთ იცის, ვის რა გვიჭირს და ვის უნდა დაგვეხმაროს, ვიდრე სხვამ?! აბა, რაიონში ჩვენნიარმა მოხუცებმა ჩვენს პრობლემებზე სად ვიაროთ, ვინ გვიცნობს, ვინ დაგვეხმარება ჩვენისთანა ხალხს?! სოფლის დეპუტატი ვანო ნატროშვილი ისეთი თავმოყვარე კაცია, არავის შეანუხებდა და თავად გაუზივდის ხელს სანყალსა და გაჭირვებულს. ჩვენ არაფრისთვის შეგვიწუხებია, მაგრამ გვსმენია, თუ ვინმეს სახლში მიუკითხებია დასახმარებლად, უკან არაფერზე დაუხვიარო“, - აცხადებენ ზემო მარხაანელები და თან გაძვირებულ ცხოვრებას უჩივიან - „ექიმიც გვყავს, ექთანიც, აფთიაქიც გვაქვს, და გადასახადებსაც ადგილზე ვიხდით, მაღლობები ვართ, მაგრამ ყველაფერი ისეთი ძვირია, ცეცხლი უკიდია, თვალის ნამალი რომ ნამალია, ათი ლარი ღირს, გაგვანყალა ყოველთვე მისმა ყიდვამ. ჭამა არის და, თვეში ერთი კარგი ექიმის გაკეთების უფლება რომ მივცეთ თავს, შენი ასი ლარი რაღაა, იქ შემაზე უნდა ვიზრუნოთ, იქ ვენახის ნამალზე, რომელიც, ასევე, არც თუ ისე იაფი გვიჯდება და მაც ჩვენს პენსიასაც რაღა შეუძლია? - უცებ ამოსძვრება ხოლმე სული. ზარმაცი ხალხი არ გვეგონოთ, შე-

ლი ათას ლარიან ხელფასს იღებს. ამ სკოლაში თითქმის ყველა პედაგოგს გავლილი აქვს სერთიფიცირების პირველი ეტაპი, საიდანაც სამმა სულ ახლახანს მეორე ეტაპიც წარმატებით განვილო. გასულ წელს ამ სკოლიდან 16 აბიტურიენტი წარსდგა უმაღლეს სასწავლებელში, საიდანაც 14 მათგანი ჩაირიცხა, აქედან 9 აბიტურიენტი 50%-იანი გრანტის მფლობელი გახდა. წელს 33 მოსწავლე ამთავრებს მარხაანის საჯარო სკოლას, აქედან 18 - აბიტურიენტია. გასულ წელს შეკეთდა სკოლის ჭერი და შეიღება გარე ფასადი, ამჟამად სკოლა საატესტატო გამოცდების სამზადისშია და დღეისათვის ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას.“ - აცხადებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლია ფოროსმანაშვილი.

სოფლის ამბულატორიაში

სოფლის ამბულატორია ზემო მარხაანის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო შენობაა სოფლის ორგანიზაციებს შორის. კარგად შენახული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინტერიერი იმაზე მეტყველებს, რომ აქ მომუშავე ექიმებს ნორმალური სამუშაო გარემო აქვთ. ცხადია, ავადმყოფებიც არ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი. ერთ დროს ზემო მარხაანის ამბულატორია ერთ-ერთი ძლიერი სამედიცინო პუნქტი გახლდათ მთელს რეგიონში, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივით. უწინ ამბულატორიაში 22 მედიკოსი მუშაობდა, მათი დირექტორი კი ვანო ნატროშვილი გახლდათ. ამჟამად ამბულატორია ოთხი თანამშრომლისგან შედგება, დირექტორი, თერაპევტი ვიოლეტა ნატროშვილი გახლავთ, მისი ექთანი მანანა მიქელაძე მათ სამუშაო პრინციპს გვიხსენის - „გაზაფხულია და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები იჩენს თავს, ამიტომ ძირითადად წნევიანი ავადმყოფები გვაკითხავენ, თუ ადგილზე შეგვიძლია დავეხმაროთ, აქვე ვეხმარებით, ვუზომავთ წნევას, თუ წამალია საჭირო, ვიოლეტა ექიმი თავის საკუთარი სახსრებით ნაყიდ ნამლებს ჩუქნის მათ. ნამლის მიღების შემდეგ კვლავ ვუკონტროლებთ წნევას და ვაგზავნით სახლში. ავადმყოფებს, რომლებსაც ვინორ სპეციალისტი სჭირდებათ ან გართულებული აქვთ მდგომარეობა, მიმართავს ვუნერთ და ვაგზავნით რაიონის საავადმყოფოში. ვიოლა ექიმს კი, თითქმის ყოველი მეორე ღამის გათენება უწევს, რადგან ავად გახდომამ დრო არ იცის.“ - აცხადებს ექთანი მანანა მიქელაძე.

პედიატრი ასმათ ყოჩიაშვილი და მისი ექთანი ანა ხუცურაული 320 თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვს ემსახურებიან. ისინი ძირითადად ბავშვთა პატრონაჟს და მათ ვაქცინაციას ასრულებენ, რაც ცხადია, ასევე შრომატევად სამსახურს მოიცავს.

ვტოვებ სოფელ ზემო მარხაანს იმ იმედით, რომ მისი ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება დღევანდელზე, ზემო მარხაანი ყოველთვის რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო და ძლიერი სოფელი იყო თავისი კულტურით, ისტორიით, წარმატებული, კულტურული, თავაზიანი და სახელოვანი ხალხით, ამიტომ უტყუარად მიმანია, რომ ეს სოფელი ჭეშმარიტად იმსახურებს ყურადღებას და დაფასებას.

ჭეშმარიტებას ლექსში დავეძებ...

ჯერ მხოლოდ ოცდაორი წლისაა, მაგრამ ცხოვრებამ ბევრი გამოცდა მოუწყო, აღმა- დაღმა ატარა და... „ჭეშმარიტებას ლექსში დავეძებ...“.

ქალაქ ბათუმში, დედულეთში ვლადიმერ და ვარდო ირემბაძეების ოჯახში დაიბადა. გიორგი ნიკოლაური ეთერ ირემბაძის და ემზარ ნიკოლაურის პირველი შვილია, მას მერე ორი გოგონა დაიბადა. ხან ქობულეთში ცხოვრობდნენ, ხან თელავის რაიონის სოფელ ფშაველში, ხან სოფელ გამარჯვებაში, ბოლოს ბინა ქალაქ დედოფლისწყაროში დაიდეს, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება და.. მამამ ოჯახი მიატოვა. მერე გიორგის ცხოვრებაში ყველაზე დიდი „ჭეშმარიტებას ლექსში დავეძებ...“ სოფელ ნითელწყაროს ქართულ-რუსული სკოლის მე-თერთმეტე კლასში სწავლობდა. სწავლობდა თითქმის სამუალოდ, მაგრამ ატესტატი ვერ აიღო, იჩხუბა და... ორი წელი ციხეში მოუწია ყოფნამ. სწორედ იქ მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში

ფასეულობათა გადაფასების დრო დადგა. ხომ გაგიგონიათ, ჯერ მწარე უნდა ჭამო, – ამბობს თავადაც. მიხვდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უფალი და სიყვარულია, უფლის და ადამიანის სიყვარული, ოჯახის პატივისცემა, ოჯახის წევრებზე ზრუნვა. მერე მუზა შეუჩნდა და პირველად უფალს გაანდო თავის ფიქრები ლექსებად, უცებ კი სიყვარული მოვარდა, შმაგი, ვნებიანი, დაუცხრომელი.. ჯერ მხოლოდ თვრამეტი წლის იყო, მისი რჩეული თამთა ბასილაშვილი კი თითქმის ბავშვი. თავისი „გაიტანეს“, ოჯახი შექმნეს, ახლა პატარა ეთო მთელი ოჯახის დიდი სიყვარულია და „რიგის ყანვივით“ ხელიდან ხელში საგომბანები, როგორც დღევანდელი ახალგაზრდების



უმრავლესობას, არც მას აქვს სტაბილური სამუშაო, მაგრამ არაფერს თაკილობს, შრომობს, ცდილობს, დიდი ოჯახის რჩენაში დედას შეეშველოს. სწავლასა და პროფესიის შეძენაზე ოცნებობს. – კაცე ცხოვრების გეგმის გარეშე წარმოუდგენელიაო, – ამბობს და საბუთები კაჭრეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ასში“ მეღვინეობის განხრით შეიტანა. ცხოვრების განამანის მიუხედავად მუზა თითქმის ყოველდღიურად სტუმრობს, უფლის სადიდებულთან ერთად განაღდა ლექსები სამშობლოზე, სიყვარულზე... „მიდი, თქვი, ლექსო, სათქმელი, ამოიხრე გულიდან, სამყარო სხვაფერად მაჩვენე, შეგეშველები, თუ გინდა, მე უყველაფრად ვიცხოვრებ, მაგრამ უშენოდ არ მინდა“

- ამბობს ერთ ლექსში, სხვაგან კი ასე გადმოსცემს თავის ნაზრევს:

„მე ერთი წვიმის წვეთიც მაცოცხლებს და ვაზაფხულის მხოლოდ სურნელი, ჭეშმარიტებას ლექსში დავეძებ და სიყვარული მიდევს უბეში“.

გალაქტიონის „მესაფლავე“ პირველად რომ ნაიკითხა, მოკუმი ჩავარდა, როგორც მთის სისხლის კაცე ხიბლავს და იზიდავს ვაჟა. გრძობს, რომ მის ლექსს აკადემიურობა აკლია, ეს ბუნებით მიმადლებული აზრის მხატვრულად გადმოცემის უნარია და მას დახვეწა, ცოდნით შევსება სჭირდება. სწორედ ამიტომ ხშირად სტუმრებს უფროს კოლეგებს დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციაში, ცდილობს, უფრო მეტი იკითხოს. მის სამაგიდო წიგნს კი ბიბლია და სახარება წარმოადგენს. მოდით, დღეს ჭაშნიკი გაუფსინვოთ მის რამოდენიმე ლექსს, სამომავლოდ კი – თვალყურით მივადევნოთ, ვნახოთ, როგორ გაიზრდებიან ის და თავისი ლექსები.

ნაირა გორაშვილი

პუნიკა

უცნაურ გულში ადუღდა სისხლი და თითქოს ლოდინი დამაწვა მხრებსზე,
მამის ვიგრძენი ზოგის ქინი, რომ დამათენა ფიქრებმა შენზე.
თითქოს ვარსკვლავთა ქორწილი ვნახე და ხეფის გვერდით მჯდომარე ვიყავი,
ასლა არ მინდა, ვიდრე სხვასავით, გამოყვალე ფეხიდან მიწაზე!
ვიცი, ვუღარას დამაკლებს შიში, ხელბანაწვილი ზეცისკენ ვვიცნავ და საქართველოს სიმწარე დიდი გავუზიარო ჩემს გულსაც მინდა, უკვე გამაწვილურ თამაშებს ვტოვებ,
ასწარეს ვიწვევ მემომრის ფარით, თუ ჩემს სამსახლოს შელახავს ვინმე
ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ სმალით.

X X X

ჩემო მამულო, ჩემო სამშობლო, შე ლექსს რატომ ვწერ, როგორ გგონია?
შენთვის გრძნობები რომ გამემსილა,
მე ასეთი რამ მომიგონია. ლექსის მწერალო, ქვეყნის ერთეულიო,
ბევრი სიმდიდრის მატარებელიო, ბევრისთვის დამის თევის მიწეხო, და ჩემი გულის გამსარებელიო, რასაც ვერ გეტყვი ჩემს სათქმელს ლექსში,
შენ, საქართველო, მე არ მიწეხო,
ჩემს ყველა სტრქიონს იმიტომ ვეტყვი რომ წაგიკითხო, შენ კი მისმინო.

X X X

უცხო სამყაროს უცხო ქალაქში ურცხვად, თამამდ დავიარები, უცხო გრძნობების ანრებს გადავშლი
და ამ სირცხვილში დავიმალდები. უცხო სიყვარულს, უცხო სინაზეს, ურცხვად დავიღებ ბრიყვად გამოწვდილს.
დილით ვაბრალდებ არვით სიმთვარეს, ცოდივით ცნობვარება რატომ გამომდის?
ცოდივით გულის მოვირგებ მსარზე.
და უსირცხვილოდ დავიღებ სირცხვილს.
მე გამომშვებენ გოლგოთას მთაზე, მერე უგულოდ დავიწვევ ტირილს. წამებში წუთები თუ დატევა, მამინ ჩემს გულში სამყაროს ჩაუღებ,
თუკი სიკვდილში რწმუნა ეტევა მაშინ სიცოცხლეს სასწორზე დავღებ.

„ალარ ვუნდინარ საყვაროს პირი“

ჭეი, გავლიდი წლების მეფენო, თხოვნით მოგ მართავს მოხუცი კაცი
ცაში აფრინდით თეთრო მტრედობო.
წლებთან მაქვს უკვე მე დიდი ვალი. თხოვან მეფესთან ასე კდერს მისი. ერთი ვარსკვლავით დამტოვე უკან, არ მინდა ცოცხა ვატარო სხვისი. ისეც ამეფსო აშქვლა გულა.
ალარ ვუნდინარ სამყაროს ბერი, მკონი სიკვდილსაც გადავივიწედი.
ვთავაღე ამდენი ცოდივით წლები, ჩემო ბავშვობა, შენც დამავიწყდი. მინდა სიბერეს უსმინო გულთ,

იმ ძველ ფურცლებში ბევრს წაიკითხავთ, ნუ გადმოხედავთ ამაუი სულით. სიბრძნეს მიიღებთ რაც მტს იკითხავთ.

პანთონი

თუ კი გული ამღერდება, მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის
ქონიც თუ კი ამდღედდება, ქალო, გეც მინდა შენთვის, ხოსობი თუ აფრინდება, მასაც ვესწორი, ქალო შენთვის, ანგელოზი თუ გამიწერა გეც მხოლოდ, ქალო, შენთვის, სატანაც რომ დამეჭიდა, მასაც მოვეწიე შენთვის.
თუ კი ტკივილს ცრემლი მოჭევა, წვიმა მომაქვს მე კი შენთვის, თუ შეგცოცდა და შეწუხდი, ზაფხული მაქვს ისიც შენთვის!?
სასახლიდან თუ დაბრუნდი, ის ქობი მაქვს ისე შენთვის, შენ, სატანაც, აქ დადუმიდი, დემეტო, ჯვარი თუ გაქვს ჩვენთვის!?

ალამიანო

ალამიანო, არ დავიწყო სახელი შენი, არ დავიწყო, მტვერი ხარ მიწის. ალამიანო, საითკენ იღტვი, წუთების დათვლა ხომ ადვილია? სამოთხის კართან მიწის რატომ ითხრი, სადაც სულისთვის ბეგრად ტეპილდა?
ალამიანო, კიბეს ნუ დავგამ, რომ თანატოლად მოხვიდე ჩემთან, მეფე ხარ ამაუი, ქვეყნის მართავ, მიდი და ესაიარე იმ წმინდა ბერთან. ალამიანო, განსოვდეს სული,

წუთიერ გრძნობებს ნუ გადაჭევიბი,
ნუ ამაღლე შენ ზეით ფული, აფთარსე მტრად ნუ გადავდები. თქვენი სწეული ის ტამარია, მარად და მარად რომ იყოს წმინდა, თქვენი სული კი ის სანთლებია, ჩაუქრობლად რომ ატაროთ მინდა.

პასიონ?

თუ გამოცინა მელოდია შექმნილი ჩვენთვის, ასეთი ნაწი და..
აღვლევებული ღამაში ტექსტიც შედავ?
დამისატა ზორტრეტი შენი, ამასლა ვედავ, ნახე ფერები უნიჭო მე რომ ჩემგებრა ვედავ.
გრძნობ?
ამ შენ სინაზეს, ღამაზო, უკვე რამდენხანს ვთმობ და მაგ თვალების სიკიყეს დიდიხანა ვგმობ.
გიყვარს?
შენ კი არა და უკვე ვეღარავინაც მიტანს, თუ შეგ იყვარდა ლექსი, თვითონ კალამიც რითმავს.
ტეტევა?
ამ სიტყვის გულში, უკვე ბევრი რამ მინდა, რომ ჩამოვწვიტო ვარსკვლავი და გადმოვფრინდე ციდან.
გვამაშ?
ქრისტე, რომელიც ლოცავს ყველა გაცეულ წამს, და რომ გავიქრობს გულში, ყველა დამწეულ დაღს.
„არ დამოვარდები“
არ დამოვარდები, მაგრამ აღმოვთქვამ
მეფედ ვცნობობდი ცოტა ხნის

უკან გვირგვინი თავზე ოქროსი მეღვა და საქართველო შეგვარი მუშტად. არ დავიჯერებთ, ამასაც გეტყვით: ღმერთი ვიყავი თქვენი ლოცვების, როცა გიმძიდა სულის ვაება, გვასსოვს, ცრემლებით ჩემთან მოხვედი,
მეკლიც ვუოფილვარ, ტეეში ნადირად და დამიძლია ირმების გუნდი. ასე გიყვებით ასლა მარტვიად თან მასწეხდება ის თქვენი სუნიდი, ერთ დროს ვიყავი თვით საქართველოც და საქართველოს გული მტკიოდა, გმირიც ვიყავი, ხანჯლად გავრდილი
და ზატრიოტის სისხლი მდიოდა. ხმალიც ვიყავი, ბასრი და მჭრელი, გმირების ხელში ნატრიოტები, იმ ჩვენს მტრების სისხლიც ვიგეძე.
ვისგანაც ვეწინადა ნაიარევი. მე თქვენი გულიც ვიყავი კიდევ ვისაც გიცემდათ მეკრდმი საიმით, ვინც დედის ამავე ყფერებოდა და დანოქილმა ვარდი მართათო. ანგელოზადც მივსულვარ ჯართან,
რჩეულ მამულის შვილებთან მეთქვა.
უფლის ჰირჯვარი დაუწერე ყველას, ვიღვარე ლოცვის სიტყვებთან ერთად.
ასლა კაცი ვარ, სახეზე მშვიდი, მაგრამ დარდებით სახეზე მაქვს გული,
ასლა ღანდი ვარ შეუმწეველი, უხილავ გრძნობებს მიჭევაბა სული.

გიორგი ნიკოლაური

სხვრის გადასარეკი ტრასების აღდგენა მიმდინარეობს

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გორიზიამ ქვემო ქართლის რეგიონში, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებით მიმდინარე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. მარნეულის რაიონის სოფელ ჯანდარაში მდებარე ხიდი ცხვრის გადასაყვანი ტრასის (დედოფლისწყარო-მარნეული-ასპინძ) მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორია-

ზე ცხვრის გადასაყვანი ტრასების აღდგენა-რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მეცხვარეობის განვითარებას და თითოეული მეცხვარის გაზრდილ შემოსავალს უზრუნველყოფს. აღნიშნული ხიდის სიგრძე 36 მეტრს შეადგენს, სიგანე 4 მეტრია. რეკონსტრუქციის შემდეგ ხიდის გამოყენება არა მხოლოდ ცხვრისა და საქონლის გადასაყვანად იქნება ხელსაყრელი, არამედ აღნიშნული მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობა ავტომანქანით გადაად-

გილებაც შეძლებს. ამჟამად, კონსტრუქციული დაზიანებების გამო ხიდის გამტარიანობა შეზღუდულია, რაც ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებზე ცხვრისა და საქონლის გადაადგილებას მნიშვნელოვნად აფერხებს. „სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში აღნიშნული ხიდის საგალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია და განაპირა დამცავი ჯებირების განახლება მოხდება. ხიდის აღდგენითი სამუ-

შაოების დასრულება 4 თვეში იგეგმება. მშენებლობაზე 23 ადგილობრივი დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ იორმულალოში მდებარე ცხვრის გადასაყვანი მეორე ხიდიც, რეაბილიტაციის პროცესშია. მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვანია. „ამ ხიდს „მეფანაძის ხიდაც“ უწოდებენ. მისი საშუალებით ცხვარი მდინარე იორზე საგარეჯოდან სიღნაღში გადადის და მთაში

ადის. აქამდე ისიც დაზიანებული იყო. სახელმწიფოს დახმარებით მისი რეაბილიტაციაც დაწყებულია“, – განაცხადა „მეცხვარეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ბექა გონაშვილმა. საქართველოში მეცხვარეობა ექსპორტზე ორიენტირებული დარგია და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს. ილია მარტყოფლიშვილი

გაიხსნა ბავშვთა გასართობი ცენტრი

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს, ე.წ. ჯარის წყლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი სპორტული კომპლექსის შენობაში სადღესასწაულოდ გაიხსნა საბავშვო გასართობი ცენტრი, რომლის ანალოგი დედოფლისწყაროში ჯერ არ გვექონია. საკმაოდ მოზრდილ დარბაზში განთავსებული თანამედროვე ტიპის ატრაქციონები, უამრავი სათამაშო, საკარნავალო ფორმები, პანორამით მოხატული პატარა სცენა, საბავშვო მაგიდები და სკამები - საკმაოდ მომხიბლავად გამოიყურებოდა და პატარებისთვის საკმაოდ სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. ეს გახლდათ ყველა ბავშვისთვის სანატრელი სამყარო. აქვე ეკრანზე გადიოდა მულტიფილმები და მოეწყო კარაოკე. დედოფლისწყაროში პატარები ცენტრის გახსნის დღეს მშობლებთან ერთად უფასოდ იყვნენ მონაწილეები. მათთვის და მათი მშობლებისთვის ამგვარი სახის შემოტანა რაიონში ნამდვილი სიურპრიზი გახლდათ. ამ მშვენიერი საქმის წამომწყებები კი, ყველასთვის კარგად ცნობილი, ბიძინა პაპაშვილის და მარინე ცხვედიაშვილის ოჯახი გახლდათ.

ლონისძიების ჰყავდა თავისი დიჯეი, რომელმაც

მიულოცა ბავშვებს ბავშვთა უფლებების დაცვის და წმინდა ნინოს ხსენების დღე, ხოლო შემდეგ პატარებს სცენაზე ასვლისა და ლექსების თქმისკენ თუ სიმღერების შესრულებისკენ მოუწოდა. მართალია, ბავშვები თავიდან მორცხვობდნენ, მაგრამ შემდეგ სცენაზე ასვლის სურვილი ყველას მოეძალა. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ლუკა თეთვაძე და გიორგი პაპაშვილი, რომლებმაც მაცურებლის ტაში დაიმსახურეს.

ყველა მშობელი კმაყოფილებას და ბავშვების ცენტრში ხელახლა მიყვანის სურვილს გამოთქვამდა. ზოგს კი შვილისთვის დაბადების დღის აქ გადახდის იდეა გაუჩნდა. როგორც მარინე ცხვედიაშვილთან გავარკვიეთ, ამის შესაძლებლობა მათ ნამდვილად ექნებათ, რადგან დარბაზში არის ბარი მაჯირით, სადაც იუბილარ ბავშვებს კვებასაც შესთავაზებენ. რაც შეეხება ფასს, ამაზე ჯერ არ ჩამოყალიბებულა, თუმცა, ის უკვე იცის, რომ ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. ცენტრში თითოეული ბავშვის შესვლა და დაახლოებით 2 საათიანი გართობა 5 ლარის ფარგლებში იმერყეუებს, სადაც გაზიანი სასმელის მომსახურებაც

შევა. - „სამსახურის გარეშე ყოფნა ძალიან გამიჭირდა, საკმაოდ დიდხანს ვიფიქრე და ბოლოს, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვები ჩემი საყვარელი არსებები არიან, ასეთი სახის ცენტრის გახსნა გადავწყვიტე. ვფიქრობ, გაამართლებს.“ - თქვა ჩვენთან საუბარში მარინე ცხვედიაშვილმა.

ბავშვთა დარბაზის გვერდით მდებარეობს „ტენისის“ და „ბილიარდის“ სათამაშო დარბაზები, სადაც მშობლები შეიქცევენ თავს სპორტული თამაშებით. ლონისძიებაზე მართლაც უამრავმა ბავშვმა და მშობელმა მოიყარა თავი, ისე, რომ დარბაზი მთლიანად გაივსო. დასასრულს ბავშვებისთვის გაიჭრა ტორტი, მოეწყო ფიერვერკი და დაიწყო შამპანური. უამრავი ადამიანი ულოცავდა ცენტრის გახსნას. ჩვენც ვუერთდებით ამ მილოცვას, გვჯერა, რომ ეს ცენტრი ჩვენი პატარების ბავშვობის წლებს ბევრად გააღამაზებს და გააცოცხლებს. მე კი, რაიონში მცხოვრებ ყველა მშობელს მოვუწოდებ, შვილებით ეწვიონ ბავშვთა გასართობ ცენტრს, დამერწმუნეთ, თქვენც და თქვენი შვილებიც ძალიან კმაყოფილნი დარჩებით.



ლალი მისრეხვილი

სოფის უმთხვევების გამოვლენის გამო დედოფლისწყაროს ოთხ სოფელში კარანტინია



სოფის მორიგი შემთხვევები გამოვლინდა დედოფლისწყაროში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში ე.წ. „აკაკის უბანში“ და სოფელ საბათლოს მიმდებარე (ყოფილი წყალსაქაჩის ტერიტორია) ელმან ველიევის კუთვნილ პირუტყვის ფერმაში სოფის კერე-

ბი გამოვლინდა. კარანტინია დედოფლისწყაროს კიდევ ორ სოფელში. როგორც „შირაქს“ დედოფლისწყაროს გამგეობაში განუცხადეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით სპეციალური კომისია შეიქმნა. ტერიტორიები სოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კე-

რად გამოცხადდა და კარანტინი დაწესდა. დაავადებულ ცხოველთან კონტაქტობის შემთხვევაში, მონიტორინგის წარმოება და აცრების ჩატარება ააიბ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს“ დაევალა. სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ კახეთის რე-

გიონალური სამმართველო სათანადო ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფს. შეგახსენებთ, ამ დროისთვის კარანტინია სოფლებში ზემო ქედსა და არბოშიკშიც. სადაც მტაცებელმა 54 წლის ქალბატონი დაკბინა. მოგვიანებით მგელს საბორატორიული კვლევის შედეგად ცოფი დაუდგინდა. იძულებითი ვაქცინაცია ამ სოფლებშიც მიმდინარეობს.

როდის, როგორ და რატომ დატოვებენ ადამიანები დედაშიწას?

დედამინა ჩვენი სამუდამო თავშესაფარი ვერ იქნება. დაახლოებით 2 მილიარდ წელიწადში გაფართოვდება მზე ამოაშრობს ოკეანებს და ეს ლურჯი პლანეტა სამყაროში არსებულ სიცოცხლისთვის უფარგის მრავალ პლანეტათა რიცხვს შეუერთდება. თუმცა მანამდე შეიძლება ანდრომედას გალაქტიკასთან შეჯახებამ მოუღოს ბოლო აქაურობას. უფრო მეტიც, დედამინას ელის მისი ორბიტული გზის სიახლოვეს მქროლავი 1000 კმ სიგანის ასტეროიდების შესამეფენ ჩამოცვენა — ეს მოვლენა ყოველ 300 000 წელიწადში ერთხელ ხდება.

რატომ?

1989 წელს გაცილებით პატარა ასტეროიდი, რომლის ჩამოვარდნაც 1000 ატომური ბომბის აფეთქების ექვივალენტი იქნებოდა, დედამინის ორბიტა გადაკვეთა იმ ნერტილში, სადაც ჩვენი პლანეტა 6 საათით ადრე იმყოფებოდა. „ჰიფებოატ ჭოუნდატიონ“-ის ასობით

მკვლევარი იძიებს კაცობრიობის არსებობასთან დაკავშირებულ რისკებს და მათი დაანგარიშებით, კატასტროფული მოვლენის მოხდენის ალბათობა 300 000-დან 1-ია. „თუკი ჩახმახის წვალეხას დიდხანს გავაგრძელებთ, საბოლოოდ ამას ჩვენი განადგურება მოჰყვება და არც იმის ალბათობა არსებობს, რომ მეორე შანსი მოგვეცემა.“

იმ ხიფათების უმეტესობა, რომლებიც პლანეტის დატოვებას გვაფიქრებინებს, რეალურად ადამიანის ხელითაა გამოწვეული და შესაძლოა, სულაც არ იყოს შორეული მომავლის საქმე. ენერჯის რაოდენობა, რომელსაც ყოველწლიურად მოვიხმართ, იმ ზღვარზე გაცილებით მეტია, რომლის გადაჭარბებაც პლანეტას საფრთხეში აგდებს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ანგარიშით, 2030 წლისთვის ჩვენ მიერ წლიურად მოხმარებული ბუნებრივი რესურსები ორი პლანეტის ექვივალენტური იქნება. კატასტროფების ეპიდემიოლოგიის კვლევის

ცენტრის მიხედვით, გვალვების, მინისძვრების, თავსხმა წვიმებისა და დატბორვების შემთხვევები გასულ დეკადში სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 1980-იანებში და 54-ჯერ მეტი, ვიდრე 1900-იანებში, როცა მსგავსი აღრიცხვები დაიწყო. ზოგიერთი სცენარის მიხედვით, კლიმატის ცვლილება გამოიწვევს წყლის ნაკლებობას, სანაპირო ზოლების შემცირებასა და მასიურ შიმშილობას. საბოლოოდ კი მსოფლიოს ბოლოს მოუღებს სასიკვდილო ვირუსი, ბირთვული ომი ან, როგორც „ჰიფებოატ ჭოუნდატიონ“-ი გვაფრთხილებს, მუდმივად განვითარებადი მძლავრი ტექნოლოგიის დაუდევარი გამოყენება. გამომდინარე იმ ზიანიდან, რასაც პლანეტას ვაყენებთ, დედამინის დატოვება შეიძლება იმიტომაც გახდეს საჭირო, რომ ის უბრალოდ გადარჩეს, საბოლოოდ კი ერთგვარი კურორტი გახდება, რომელსაც ადამიანები დროგამოშვებით ეწვევიან, როგორცაა მაგალითად იოსემიტი.

ნათელა ბილიაშვილი, ლაურა ახობაძე, მაცყვალა ჯაგაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ელენე და თამარიკო მესხიშვილებს ზურას გარდაცვალების გამო.

ლენა ქადაგიძე და ნანა შანშიაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნაილი კოსიაშვილს და მის ოჯახს მამის რომან (რაინო) კოსიაშვილის გარდაცვალების გამო.

მონატრება

შალვა ყორიაშვილი



გაუსაძლისი მონატრებითა და დიდი გულსტკივილით მოვიდა 8 ივნისი - შენი დაბადების დღე. იუბილე უმეზოდ - უსაზღვრო მოფერებით, ცრემლის ნაკადით, წმინდა სანთლებით... გილოცავთ შენი ახლობლები, ცოლ-მეილი, და-ძმა და ძმისშვილები. აქ რაც გიცხოვრია, მთელი სიცოცხლე სითბოსა და სიყვარულს აფრქვედი. დაუმრეტელი წყარო იყავი სიყვარულისა და ამიტომ ძალიან, ძალიან გვენატრები. შალვა, ამქვეყნად სიკვდილ-

ზე და მისგან გამონეულ მონატრებაზე სამიწელი არაფერია. ჩვენი კეთილი და საყვარელი ძმაო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. დიდი მწუხარებით შევხვდებით ამ თარიღს. არა მგონია, ეს ჩრილობა დრომ განკურნოს, ის ისე ღრმად და უნაპირო...
სიკვდილი არავის არ გვიხდობს, არც დიდსა და არც მცირესა, რაც უნდა კარგად გავცხოვრობო ბოლო-ქაშს ავგატრეებთ. თავისი მუხანათობით საქმეს იქმნას ავგატრეებს, ზოგჯერ ისეთ დროს გვიმუხთლებს, აზრს და გონებას გვირეცსა. შალვა, ძვირფასო, ვილოცებთ შენთვის. ვილოცებთ, რომ დაგემკვიდროს ცათა სასუფეველი.
ნათელში იყავი, ჩვენი საყვარელი შალვა, შენი შვილები დიდი სიყვარულით მოიყვანენ შენს შვილიშვილებს - პატარა გიორგის, ნიკას, ლემას, ლუკას და აგინებენ წმინდა სანთლებს. დიდი მონატრებით, ცოლ - შვილი, და-ძმა. თამარი და ლეონტი, ძმისშვილები.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ მ ა გ ა ი მ ა რ კ ვ ა

გუშინ, 31 მაისს, გაზაფხული ერთი ლამაზი ღონისძიებით გააცილეს დედოფლისწყაროს მინიციპალიტეტის სკოლების მხიარულმა და საზრიანმა მოსწავლეებმა - გაიმართა მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფინალური შეხვედრა, რომელშიც პირველ ტურში გამარჯვებული ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის გუნდი „პანაცეა“, არბოშიკის გუნდი „ნიუ-არგო“ და გამარჯვების გუნდი „იკინე და გააციინე“ მონაწილეობდნენ. ასპარეზობას, ჟიურის გადანაცვლებით, შეუერთდა პირველი ტურის მონაწილე ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდი „ნუგა“. გადანაცვლებმა ნამდვილად რომ საჭირო და გამართლებული გამოდგა, რადგან „პანაცეას“ და „ნუგას“ პაექრობამ სანახაობა უფრო საინტერესო და აზარტული გახდა. როგორც იტყვიან, ისინი ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. გუნდებმა ოთხი პროგრამა წარმოადგინეს: მისალმება, კითხვაზე პასუხის გაცემა და ფრაზის გაგრძელება, მუსიკალური ნომერი და საშინაო დავალება. ამ პროგრამებში მათ თავიანთი ერუდიცია და გონებამახვილობა, სისხარტე და მოქნილობა, მუსიკალურობა, დეკლამაციის უნარი და, რაც ყველაზე მთავარია, აზარტულობა გამოამჟღავნეს. პროექტი განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა — ახალი იდეა“, პროექტის ავტორი ნიკა კირვალიძე, ხოლო ფინანსური მენეჯერი ნიკა ფიროსმანაშვილი გახლდათ. პროექტი მიზნად ჩვენს მუნიციპალიტეტში ნიჭიერი, საზრიანი და მხიარული ბავშვების მოძიებას, თავმოყრას და მხიარულობა და საზრიანთა კლუბის ჩამოყ-

ლიბებას ისახავდა, რაც მიღწეული იქნა კიდევ. შეხვედრა პროფესიულ დონეზე მიჰყავდა მშვენიერ გოგონას, №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, დღეს უკვე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) კურსის სტუდენტს ნათია ოზბეთელაშვილს. შეხვედრის ბედს სჯიდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ჟიურის თავმჯდომარე, კულტურისა და სპორტის ცენტრის მთავარი სპეციალისტი ნონა ჯიბლაშვილი, რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი თეა ლეკაშვილი, კახეთის გაერთიანებული წყალმომარაგების სამმართველოს დედოფლისწყაროს მენეჯერი, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ყოფილი უფროსი ლევან მჭედლიძე, გამგეობის საფინანსო სამსახურის სპეციალისტი თამუნა ჯამალაშვილი და კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი მამუკა უთრუთაშვილი. შეხვედრაზე, რომელზეც ყველა გუნდი ღირსეულად იბრძოდა გამარჯვებისთვის, ჟიურის გადანაცვლებით ადგილები ასე განაწილდა: 98 ქულით პირველ ადგილზე ღირსეულად გავიდა ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის გუნდი „პანაცეა“ (გუნდის კაპიტანი ლამა ლათიაშვილი), მეორე ადგილი 95 ქულით წილად ხვდა №1 საჯარო სკოლის გუნდს „ნუგა“ (გუნდის კაპიტანი გიორგი აგლაძე), რომელმაც დადებული პირობა შეასრულა და თავისი ადგილი მომდევნო გუნდს გამარჯვების „იკინე და გააციინეს“ (გუნდის კაპიტანი ლამა კვირიკაშვილი) გადასცა. მესამე ადგილი არბოშიკის გუნდმა „ნიუ-არგო“ (გუნდის კაპიტანი ნოდარ ჯამასპიშვილი), დაიკავა. „ჟიურის სიმპათიის“

პრიზი გადაეცა „ნუგას“ კაპიტანს გიორგი აგლაძეს. შეჯიბრში მონაწილე ყველა გუნდს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან გადაეცა სარუქარი, რომელსაც, ამ დღის სამახსოვროდ, სკოლის ისტორიის „მუზეუმში“ შეინახავენ. შეჯიბრის დასასრულს ნათია ოზბეთელაშვილმა, დამსწრეთა სახელით, მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი იდეა“ თავმჯდომარეს და პროექტის ხელმძღვანელს გიორგი პოპიაშვილს, კულტურისა და სპორტის ცენტრს, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თითოეულ სკოლას და მათ ადმინისტრაციებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ პროექტის წარმატებულ განხორციელებას. ყველაზე დიდი მადლობა კი თვით პროექტის მონაწილე ბავშვებს და მათმა გულშემატკივრებმა დაიმსახურეს, რომლებმაც ძალიან არ დაიშურეს, საღამო დაუფინანსარი და დასამახსოვრებელი რომ გამოსულიყო და ეს ასეც მოხდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ და გულშემატკივრობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი, გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყორჩიაშვილი, საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლები, პედაგოგები, მონაწილეთა ახლობლები და მოსწავლეები, რომლებიც არა მარტო თავიანთი სკოლის გუნდებს, არამედ ყოველ საზრიან და მხიარულ, ღირსეულ გამოსვლას ოვაციით ხვდებოდნენ. და როგორც ჟიურის თავმჯდომარემ ნონა ჯიბლაშვილმა თავის დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, ჯანსაღ კონკურენციაში



სიყვარულმა და მეგობრობამ გაიმარჯვა და, რაც მთავარია, არავის დარჩენია უსამართლობის გრძნობა. დღეს პირველი ივნისია, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, კონკურსის ყველა მონაწილე და გულშემატკივარ ბავშვს ვულოცავთ ამ დღეს, ვუსურვებთ, იცხოვრონ ბედნიერ, გამოვლიანებულ საქართველოში, იყოს მშვიდობა და წარმატებული მათი მიზნები. უფალი ენუოდეთ და დღევანდელი დღის - წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანების მადლი ფარავდეთ ყველგან, ყოველთვის და ყველავერში.

ნაირა გორაშვილი

P.S. ვითმინე და მაინც ვერ მოვიტმინე, მონაწილე გუნდებისთვის ჩემი აზრი რომ არ გამეზიარებინა: კარგი იქნება, თქვენს ხუმრობას ასე ინტერსიურად სექსს, ბილნისიტყვაობას და უხამსობას თუ არ დაუკავშირებთ. სასაცილო და საზრიანი სხვაც ბევრი რამ არის ცხოვრებაში. გისურვებთ, თქვენს გამოსვლებს უფრო აკადემიური ტონი ეტყობოდეს.

გამარჯვებული ფინალისთვის ემზადებიან

დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა, რომელსაც ფონდი „პარმონია“ და თელავის, განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი ახორციელებს. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, პროგრამა დაფინანსებულია USAID-ის მიერ.

პროგრამის ფარგლებში კახეთის რეგიონში ტარდება დებატების ტურნირი. ამისათვის კახეთის ყველა რაიონში საუკეთესო სკოლების გამოვლენა ხდება. ფინალში კი საუკეთესო სკოლები ერთმანეთს კახეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში გაეჯიბრებიან. წინასწარი ინფორმაციით, ფინალი მიმდინარე წლის ივნისის ბოლო რიცხვებში ქალაქ თელავში გაიმართება.

2012 წლის 9 მაისს დედოფლისწყაროში ჩატარდა კონკურსი ამ დებატებში, სადაც დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სახელით 2 მოსწავლე: სოფიო მენთეშაშვილი და ქეთევან შანშიაშვილი იღებდნენ მონაწილეობას. მათ 5 სკოლის მოსწავლეებთან შეძლეს გამკლავება. თავდაპირველად გამოვლინდა ორი ლიდერი სკოლა, დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლები, თუმცა საბოლოო ფაზაში გამარჯვება N2 საჯარო სკოლას ხვდა წილად. ამ დროისთვის გამარჯვებულები უკვე თელავში გასამართი შეჯიბრისთვის ემზადებიან.

ილია მარტყოფლიშვილი

ვიყიდი!

ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე მდებარე კორპუსში ერთ ან ორ ოთახიან ბინას განვაძენით თვეში 250 - \$300 გადახდის გარანტიით. მსურველები დამიკავშირდნენ: 568 36 17 99; ომარი.

ულოცავენ!

ლემო აირიქას!

ჩვენი დიდი სიხარული, გილოცავთ ქაბუკობის კიდევ ერთ ლამაზ დღეს-დაბადებიდან 20 წლისთავს! სიკეთისა და ბედნიერების გზით გველოს. შენთან ერთად დაბადების დღეს ვულოცავთ შენს დეიდას-ნინოს. ორივეს დაბადების დღეს ხომ 10 ივნისს ერთად ვხვდებით. არასოდეს მოგკლებოდეთ ღმერთის წყალობა, გფარავდეთ მისი ძალა და მადლი.

სიყვარულით, გავია - (ჟურნალ და პაპა) - გოლაშვილი

აზა ნათენაქას! გოლაქი შავარდენიქას!

გილოცავთ ახალი სიცოცხლის, პირველი შვილიშვილის - ლუკას დაბადებას! პატარას ვუსურვებთ მზებრძოლობას, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, სასახლო ვაჟკაცად გაზრდას ქვეყნის საიმედოდ! პატარას მშობლებს - ნატალი შევარდენიძეს და ერეკლე ნატროშვილს ვუსურვებთ ლუკას გაზრდას და აკვანთა სიმრავლეს! მრავალგზის გეგმობთ პაპა-ბებიების სიხარული, უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახს.

დიდი ბებები: ციცი ფიროსმანაშვილი, ლილა გულაშვილი, გზია გულაშვილი.

ნინო ნიკოლიშვილს! ვაჟა ნატროშვილს!

სულითა და გულით გილოცავთ პირველი შვილიშვილის - ლუკას დაბადებას. პატარა ვაჟკაცს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ და წარმატებულ სიცოცხლეს. თქვენ კი მრავალგზის განგეცადოთ ის სასიამოვნო გრძნობა, რომელიც ახალი სიცოცხლის დაბადებას შემოაქვს ოჯახში. ჩვენს საყვარელ შვილებს - ნატალი შევარდენიძეს და ერეკლე ნატროშვილს ვუსურვებთ პატარა ლუკას სასახლო ვაჟკაცად გაზრდას. სულ სიხარული ყოფილიყოს თქვენს ბედნიერ ოჯახში.

კეთილი სურვილებით, ლილა გულაშვილი, ციცი ფიროსმანაშვილი, გზია გულაშვილი.

ამინდი დედოფლისწყარო

შაბათი 02.06 დღე 22°	კვირა 03.06 ღამე 13°	ორშაბათი 04.06 დღე 22°	სამშაბათი 05.06 ღამე 18°	ოთხშაბათი 06.06 დღე 20°	ხუთშაბათი 07.06 ღამე 18°	პარასკევი 08.06 დღე 20°	ღამე 18°	დღე 22°	ღამე 22°	დღე 24°	ღამე 22°	დღე 23°	ღამე 17°
----------------------------	----------------------------	------------------------------	--------------------------------	-------------------------------	--------------------------------	-------------------------------	-------------	------------	-------------	------------	-------------	------------	-------------

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მებრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მინაილ გულაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია შიოლაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფინანს-მენეჯერი); გზია ქანუაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.